# საზოგადოებრივი ადვოკატი

№ 4
28 მაისი
2010

იურიდიული დახმარების სამსახური – მთელი საქართველოსთვის


### გიგა ჯეირანაშვილი: ყოველდღიურად უამრავი ადამიანი გვაკითხავს



4 გვ.

### ადვოკატ ქეთევან გაგოევის ძალისხმევით მსჯავრდებული სრულიად გამართლდა



4 გვ.

### საზოგადოებრივი ადვოკატი პასუხობს თქვენს შეკითხვებზე

3 გვ.

### იურიდიული დახმარების სამსახური

- სისხლის სამართლის საქმეზე უფასო საადვოკატო მომსახურება გადახდის უუნარო მოსახლეობისათვის;
- უფასო იურიდიული კონსულტაციები სამართალწარმოების ნებისმიერ დარგზე - სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავები; საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციის ფარგლებში იურიდიული დოკუმენტების მომზადება;
- იურიდიული დახმარების ბიუროები მთელი საქართველოს მასშტაბით: თბილისში, თელავში, მცხეთაში, რუსთავში, გორში, ზესტაფონში, ქუთაისში, ზუგდიდში, ფოთში, ბათუმში, ამბროლაურში, ოზურგეთში, ახალციხეში.

## იურიდიული დახმარების ბიუროს გორში ახალი ოფისი ექნება

*იურიდიული დახმარების ბიუროს ახალი ოფისი გორში 8 მაისს გაიხსნა. შაბათ დღეს გორის ერთ-ერთ ყველაზე ძველ ქუჩაზე მდებარე ამ ახლადგარემონტებულ შენობასთან თავი უამრავმა სტუმარმა მოიყარა. ბიუროს გახსნის ღონისძიებას სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი, ქალბატონი ხათუნა კალმახელიძე, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი, ბატონი ირაკლი კობიძე, გაეროს განვითარების პროგრამის ევროპისა და დსთ-ს რეგიონული ბიუროს ხელმძღვანელი, ქალბატონი კორი უდოვიჩკი და გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში, ბატონი ჯეიმი მაკგოლდრიკი დაესწრნენ.*

*გახსნის ცერემონიაზე სიტყვით გამოვიდნენ ქალბატონები ხათუნა კალმახელიძე და კორი უდოვიჩკი, ასევე ბატონი ირაკლი კობიძე.*

გაგრძელება მე-3 გვ.



## იურიდიული დახმარების ბიურო, როგორც ადამიანის უფლებების გარანტი

გაეროს განვითარების პროგრამის ევროპისა და დსთ-ს ქვეყანების რეგიონული ბიუროს ხელმძღვანელი, ქალბატონი კორი უდოვიჩკი მაისის დასაწყისში საქართველოში იმყოფებოდა. მან გორში 8 მაისს იურიდიული დახმარების განახლებული ბიუროს გახსნაში მიიღო მონაწილეობა და სიტყვითაც გამოვიდა. ქალბატონმა უდოვიჩკიმ „საზოგადოებრივი ადვოკატის" რამდენიმე შეკითხვასაც უპასუხა.

გაგრძელება მე-3 გვ.

## იურიდიული დახმარების სამსახური საკანონმდებლო ცვლილებებისთვის მზად არის

**იურიდიული დახმარების სამსახური ქვეყანაში მომხდარი საკანონმდებლო ცვლილების ამოქმედების მოლოდინშია. სამსახურში მიმდინარე რეფორმებმა, როგორც თავად იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი ირაკლი კობიძე ირწმუნება, დადებითი შედეგი უკვე გამოიღო, ამიტომ მას და, საერთოდ, საზოგადოებრივ ადვოკატებს, ახალი გამოწვევების ნამდვილად არ ეშინიათ.**

**- ბატონო ირაკლი, დღეს ყველა აღიარებს იურიდიული დახმარების სამსახურის წარმატებას. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ის რეფორმები, რომელიც სამსახურში გატარდა. როგორც ჩვენთვის ცნობილია, რეფორმა ახლაც გრძელდება. კონკრეტულად რა მიმართულებით მუშაობთ?**

- საქართველოში მიმდინარეობს სისხლის სამართლის სისტემის ფართომასშტაბიანი რეფორმა, რაშიც აქტიურად არის ჩართული იურიდიული დახმარების სამსახური, რადგან იგი სისხლის სამართლის სისტემის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია. რეფორმას აქვს სამი სტრატეგიული მიმართულება: პირველი - უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის გაზრდა, რაც თავის მხრივ მოიცავს ინფრასტრუქტურის განვითარებას, თანამშრომელთა რაოდენობის ზრდას და იურიდიული დახმარების მანდატის გაზრდას.

მეორე ნაწილია - საზოგადოებრივი ადვოკატების კვალიფიკაციის გაზრდა, ამაში იგულისხმება ტრენინგები, შეხვედრები, სემინარები, რათა მიმდინარე სამართლებრივ რეფორმებს საზოგადოებრივი ადვოკატები მომზადებულები შეხვდნენ და მესამე - ეს არის საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, რაშიც მრავალი მიმართულებით ვმუშაობთ: მედიასთან ურთიერთობა - ეს იქნება ტელე-რადიო გადაცემები თუ პრესასთან ურთიერთობა; მუდმივი და რეგულარული გასვლითი კონსულტაციები მოსახლეობასთან, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში ადგილობრივი ბიუროების მეშვეობით. ამ შემთხვევაში აღსანიშნავია ის სპეციფი-



ური სამიზნე ჯგუფები, როგორებიც არიან დევნილები და არასრულწლოვანი პრობაციონერები. გვაქვს ძალიან კარგი პროექტები საჯარო სკოლებში უფროსი კლასელებისათვის, რომლებიც გადიან სისხლის სამართლის საკითხებს. ჩვენ ვაწვდით მათ ინფორმაციას არა მარტო იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ, არამედ ისეთ საკითხებზე, როგორიც არის ნარკომანია, მისი პრობლემა და კრიმინოგენული ხასიათი. გარდა ამისა, ჩვენ ვხვდებით ჩვეულებრივ მოსახლეობას სოფლებში, დაბებში და მათ ვთავაზობთ უფასო იურიდიულ

გაგრძელება მე-2 გვ.

## ახალი ამბები

• 1-2 მაისს და 22-23 მაისს თბილისში იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისათვის მატერიალური სისხლის სამართლის თემაზე ტრენინგები ჩატარდა. ტრენინგს ესწრებოდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის, მცხეთა-მთიანეთის, კახეთის, ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის ბიუროების ადვოკატები.

ტრენინგს უძღვებოდნენ სამართლის ექსპერტები - ოთარ გამყრელიძე, დავით სულაქველიძე, მირიამ ზიფრიცი და სუნტკე ადენი. ისინი, საზოგადოებრივ ადვოკატებთან ერთად, განიხილავდნენ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, ბრალეული ქმედება, მართლსაწინააღმდეგო ქმედება, დანაშაულის კატეგორიები, ერთიანი დანაშაული, დანაშაულის სიმრავლე, თანამონაწილეობა, დაუმთავრებელი დანაშაული, ბრალისა და მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები. თეორიული მასალის გაცნობის გარდა საზოგადოებრივ ადვოკატებს პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულების საშუალებაც მიეცათ. ტრენინგი შემაჯამებელი დისკუსიით დასრულდა. სწავლება ჩატარდა გაეროს განვითარების პროგრამისა და საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) ორგანიზებით.

• 4 მაისს იურიდიული დახმარების სამსახურის შიდა ქართლის ბიუროს იურისტები გორის რაიონის სოფელ ბერბუკში კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს შეხვდნენ. დევნილები განსაკუთრებით ინტერესდებოდნენ 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების შედეგად დაკარგული დოკუმენტების აღდგენის, სოციალური დახმარებისა და საცხოვრებელი ფართების დაკანონების საკითხებით. შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროს იურისტებმა დენილთა შეკითხვებს უპასუხეს და სხვადასხვა სამართლებრივ თემაზე მომზადებული ბუკლეტებიც დაარიგეს. აღსანიშნავია, რომ დევნილებისათვის უფასო იურიდიული დახმარებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა იურიდიული დახმარების სამსახურის ერთ-ერთი პრიორიტეტია. გასულ წელს ამ მიზნით საზოგადოებრივმა ადვოკატებმა და კონსულტანტებმა 40-ზე მეტი გასვლითი იურიდიული კონსულტაცია მოაწყვეს, მათ შორის რუსეთის აგრესიის შედეგად წარმოქმნილ დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში.

• 3-4 მაისს, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი ხათუნა კალმახელიძე და იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი ირაკლი კობიძე ქობულეთსა და ოზურგეთს სტუმრობდნენ. რეგიონებში ვიზიტის მიზანი იყო საზოგადოების ინფორმირება უფასო სამართლებრივი მომსახურების შესახებ, რასაც სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახური მოქალაქეებს ქვეყნის მასშტაბით უწევს.

• 5 მაისს იურიდიული დახმარების სამსახურის შიდა ქართლის ბიუროს იურისტები გორის სუხიშვილის უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდნენ. ღონისძიების მიზანი იყო სტუდენტების ინფორმირება საზოგადოებრივი ადვოკატების საქმიანობისა და იურიდიული დახმარების სამსახურში პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესაძლებლობების შესახებ.

• 4-6 მაისს, ქუთაისში იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგისა და ანალიზის სამმართველოს იურისტებმა აჭარისა და იმერეთის-ქუთაისის ბიუროების ბაზაზე მოქმედი იურიდიული კლინიკის სტუდენტებისათვის ლექციები ჩაატარეს. სტაჟიორები გაეცნენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა კლიენტთან ინტერვიუ, სისხლის სამართლის საქმეზე მუშაობის ორგანიზება და დაცვის სტრატეგია, ასევე აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თავისებურებანი.

• 6 მაისს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებმა სასტუმრო „ვერე პალასში“ ფსიქიატრიული ექსპერტიზის საკითხებზე იმსჯელეს.

• 10 მაისს, იურიდიული დახმარების სამსახურის სამეგრელოს-ფოთის ბიუროს იურისტები ფოთის №5 და №21 საჯარო სკოლებს სტუმრობდნენ. ბიუროს თანამშრომლებმა - ნათია ბოჯგუამ, როზეტა ზარქუამ, მაია დარასელიამ, სალომე ჯანჯღავამ და დავით გოგუამ უფროსკლასელ მოსწავლეებს მიაწოდეს ინფორმაცია უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის პირობების, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის და მოწმის უფლებების შესახებ.

• 11 მაისს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი და იურიდიული დახმარების სამსახურის ხელმძღვანელი მარნეულში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს, მოსახლეობას, რეგიონში მცხოვრებ დევნილებსა და პრობაციონერებს შეხვდა. მოსახლეობას სხვადასხვა სამართლებრივი თემის შესახებ ქართულ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე შედგენილი ბუკლეტებიც დაურიგდა.

# იურიდიული დახმარების სამსახური საკანონმდებლო ცვლილებებისთვის მზად არის

*პირველი გვერდიდან*

კონსულტაციას. ასეთმა გასვლებმა დადებითი გავლენა იქონია საზოგადოებრივი ადვოკატების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებაზე. ფაქტია, ბოლო პერიოდში გაცილებით გაიზარდა უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის მომხმარებელთა რაოდენობა, როგორც სისხლის სამართლის საქმეებზე, ასევე - კონსულტაციებზე და სამართლებრივი დოკუმენტების შედგენის მხრივ.

**- იურიდიული დახმარების სამსახურის ერთ-ერთი ფუნქციაა კონსულტაციები სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე. ამ მომსახურებით ძალიან ბევრი მოქალაქე სარგებლობს. თუმცა, ამ მიმართებით საზოგადოებრივი ადვოკატები სასამართლოში არ გამოდიან. კანონში აღნიშნულია, რომ ამგვარი მომსახურება 2011 წლიდან დაიწყება. ისარგებლებს თუ არა საქართველოს მოსახლეობა მომავალი წლიდან ამ უფლებით?**

- საქართველო მიერთებულია ადამიანის უფლებების დაცვის ევროპულ კონვენციას, რომლის თანახმად, ყველა სახელმწიფო ვალდებულია, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემის განვითარებას სისხლის სამართლის საქმეებზე, რადგან აქ ყველაზე დიდი რისკი არსებობს სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის უფლებებში და თავისუფლებებში ჩარევის. სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე ევროპული კონვეციის მხრიდან პირდაპირი მითითება არ არის. თუმცა, 2011 წლიდან საქართველოში მოიაზრება, რომ საზოგადოებრივი ადვოკატები გარდა კონსულტაციებისა და სამართლებრივი დოკუმენტების შედგენისა, მიიღებენ მონაწილეობას იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, რომლებსაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს დაპატიმრება. 2011 წლიდან ჩვენ თუ შევძლებთ ამ მანდატის გაზრდას, მაშინ საბოლოოდ დავაკმაყოფილებთ ევროკონვეციის მოთხოვნებს.

როგორც ცნობილია, სისხლის სამართლის საქმეებზე ჩვენ ვახორციელებთ დახმარებას ერთის მხრივ სოციალურად დაუცველებზე და მეორეს მხრივ, როდესაც არსებობს იძულებითი დაცვის საფუძვლები. იგივე პრინციპი იმოქმედებს ადმინისტრაციულ საქმეებზეც, როდესაც ამოქმედდება ცვლილება.

**- რამდენიმე თვეში, კერძოდ, 2010 წლის ოქტომბრიდან ძალაში შედის ახალი სისხლის სამართლის კოდექსი და, აქედან გამომდინარე, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. როგორ ემზადება იურიდიული დახმარების სამსახური ამ ცვლილებისთვის?**

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არის უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი, რომელიც გადადგა სახელმწიფომ და მოახდინა მისი საბოლოო რეგლამენტაცია. ახალი საპროცესო კოდექსით აბსოლუტურად იცვლება დღეს არსებული საპროცესო გარემო, როგორც პროკურორისთვის, ასევე ადვოკატისთვის. ანუ, მთლიანად იმოქმედებს შეჯიბრებითობის პრინციპი, რაც ნიშნავს ბრალდების და დაცვის სრულ თანაბარუფლებიანობას, მტკიცებულებათა გამოკვლევის და ზოგადად სასამართლოში მონაწილეობის კუთხით. ნაფიცი მსაჯულები დიდი გამოწვევაა იურიდიული დახმარების სამსახურისთვისაც, ვინაიდან ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან გამომდინარე, სასამართლოში კვალიფიციური დაცვა მოითხოვს ხელახალ თეორიულ მომზადებას და ახალი უნარ-ჩვევების შეძენას. დარწმუნებული ვარ, რომ იურიდიული დახმარების სამსახური ამ ცვლილებას შეხვდება მომზადებული, ვინაიდან გაეროს განვითარების პროგრამის, ევროკავშირის, ამერიკის იურისტთა ასოციაციის და სხვა დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით საზოგადოებრივ ადვოკატებს ჩაუტარდათ უამრავი ტრენინგი, რომელიც დაკავშირებული იყო არა მარტო თეორიული ცოდნის მიღებასთან, არამედ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებასთანაც. ამისთვის იდგმებოდა იმიტირებული სასამართლო პროცესები, სადაც ადვოკატები პრაქტიკულად ასრულებდნენ საკუთარ მოვალეობას.

**- ცვლილება შევიდა „პატიმრობის შესახებ კოდექსშიც“, რომლის თანახმად მსჯავრდებულებს შეეძლებათ გაასაჩივრონ დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან დაკისრებული ადმინისტრაციული სასჯელი. კანონით, ამ ფუნქციის შესრულება მოუწევთ საზოგადოებრივ ადვოკატებსაც, რას გულისხმობს ეს ცვლილება?**

- ეს ცვლილება გულისხმობს პატიმრების უფლებების დაცვაში უფრო მეტი გარანტიის ჩადებას, იმ დროს, როდესაც ისინი უკვე სასჯელაღსრულების დაწესებულებებში იმყოფებიან. „პატიმრობის კოდექსის“ შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან პატიმრის წინააღმდეგ აღიძვრება დისციპლინური სამართალწარმოება, მაგალითად რეჟიმის დარღვევის გამო, პატიმარს უფლება ექნება მოითხოვოს თავისი ინტრესების დაცვა და დისციპლინურ სამართალწარმოებაში ან თავად ჩაერთოს, ან მოიწვიოს ადვოკატი. გარდა ამისა, ახალი „პატიმრობის კოდექსი“ განსაზღვრავს ისეთ შემთხვევებს, რა დროსაც, პატიმრის ნების მიუხედავად, მისი იურიდიული დაცვა იქნება სავალდებულო. ამ შემთხვევაშიც, თუ პატიმარს არ ექნება საშუალება საკუთარი ხარჯებით მოიწვიოს კერძო დამცველი, მაშინ საქმეში ჩაერთვება საზოგადოებრივი ადვოკატი, რომელიც უფასოდ დაიცავს მის ინტერესებს.

**- იურიდიული დახმარების სამსახურის ერთ-ერთი პროექტია უფასო იურიდიული კონსულტაციები დევნილებთან. რამდენად წარმატებულია ეს პროექტი და რა შედეგი მოჰყვა მას?**

- გარდა იმისა, რომ ეს პროექტი არის წარმატებული, იგი არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იმ ხალხისთვის, რომელებსაც დევნილის სტატუსი აქვთ. მათ აქვთ უამრავი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა, რაც თავის მხრივ გადაზრდილია სამართლებრივ პრობლემებში. სამწუხაროდ, ამ ადამიანებს არ აქვთ საშუალება მიიღონ კვალიფიციური რჩევა კერძო ადვოკატისგან. დევნილებთან ურთიერთობა ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია, რადგან ამგვარი შეხვედრებიდან ვიგებთ რა სჭირდებათ მათ და რაში შეგვიძლია დავეხმაროთ - ვურიგებთ ბროშურებს, ვაძლევთ ჩვენს მისამართებს და ასე შემდეგ. ვცდილობთ, რომ ჩვენი დახმარება ქმედითი იყოს. სხვათა შორის, როგორც შემდეგ ვაანალიზებთ, ამგვარი შეხვედრები ნამდვილად არის შედეგიანი.

**- ბოლო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სტუდენტ-ახალგაზრდებთან ურთიერთობას. რა არის ამის მიზეზი და მიზანიც?**

- სტუდენტი ახალგაზრდობა არის მომავალი თაობა, რომელსაც უნდა ჩაბარდეს რეფორმირებული იურიდიული დახმარების სამსახური. ამიტომ, გარდა იმისა, რომ მათ ლექტორები აწვდიან თეორიულ ინფორმაციას მიმდინარე რეფორმებებზე, ძალიან მნიშვნელოვანია იგივე ინფორმაცია სტუდენტებს მიაწოდონ პრაქტიკოსმა იურისტებმა, ვინც უშუალოდ მონაწილეობს რეფორმის განხორციელებაში. გარდა ამისა, ჩვენ გვაინტერესებს მათი აზრი იურიდიული დახმარების სამსახურში მიმდინარე პროცესების შესახებ. ამის



შეხვედრა საზოგადოებასთან

მაგალითია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის გამოცხადებული კონკურსი, რომელიც მიმდინარეობს გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით. სტუდენტებს მიეცათ შესაძლებლობა თავიანთი მოსაზრებები მოგვაწოდონ წერილობითი სახით თუ რას ფიქრობენ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასა და უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ. ჩვენ გვაინტერესებს, პირველ რიგში მათი კრიტიკული მოსაზრებები, მათი ხედვა და შენიშვნები ჩვენს საქმიანობასთან დაკავშირებით.

**- დასამალი არ არის, რომ იურიდული დახმარების სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არც ისე სახარბიელო მდგომარეობაში იყო. ამგვარი გარემო კი, მოქალაქეების განწყობაზე გარკვეულ გავლენას ახდენს. ბოლო პერიოდში ამ მიმართულებითაც აშკარა ცვლილებები გაქვთ.**

- სამსახურის ინფრასტრუქტურული განვითარება პირდაპირ არის დაკავშირებული იურიდიული დახმარების სამსახურის ხელმისაწვდომობასთან. შეიძლება ადვოკატი იყოს კვალიფიციური, მაგრამ როდესაც ადამიანი მოდის მწვავე პრობლემით კონსულტაციაზე, ბუნებრივია, მას უნდა შეექმნას სათანადო პირობები, რათა შეძლოს მშვიდ გარემოში მიაწოდოს იურისტს თავისი პრობლემა. ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვანია სამსახურში დასაქმებული პირებისთვისაც, რათა პროცესი იყოს უფრო სწრაფი, ტექნოლოგიურად გამართული, და ამ ხარვეზებმა, ისედაც გაჭირვებულ ხალხზე, ნეგატიური გავლენა არ მოახდინოს. ჩვენი დონორების მხარდაჭერით უკვე ავაშენეთ და გავარემონტეთ რამდენიმე ბიურო. ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის დახმარებით გარემონტდა და სრულყოფილად აღიჭურვა ქუთაისის იურიდიული დახმარების სამსახურის ბიურო. 2010 წლის დასაწყისში გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით გავხსენით ახალი ბიურო სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. ცოტა ხნის წინ, ასევე გაეროს დახმარებით გავხსენით შიდა ქართლის ბიურო, რომელიც მდებარეობს გორში. სახელმწიფოს ბიუჯეტით გავარემონტეთ ბიუროები მცხეთაში, ზესტაფონსა და რუსთავში.

**- მიმდინარე წელს იურიდიული დახმარების სამსახურს დასახმარებლად გაცილებით მეტმა ადამიანმა მიმართა, ვიდრე გასულ წლებში, რითი აიხსნება ეს ცვლილება?**

- 2008 და 2009 წლებთან შედარებით, გაცილებით გაიზრდა საზოგადოებრივი ადვოკატის მომსახურებით დახმარების მოთხოვნა როგორც სისხლის სამართლის საქმეებზე, ასევე კონსულტაციებსა და სამართლებრივი დოკუმენტების შედგენისას. ეს პირველ რიგში განპირობებულია იმით, რომ საზოგადოებაში გაიზარდა ნდობა ამ სამსახურის მიმართ. ეს კი განპირობებულია შემდეგი გარემოებით - საზოგადოებრივი ადვოკატების კვალიფიციურობით, და იმით, რომ საბოლოოდ დავანგრიეთ ეგრეთწოდებული სახაზინო ადვოკატის სტერეოტიპი, რომელიც დაცვის ქვეშ მყოფის ინტერესს მხოლოდ და მხოლოდ ფორმალურად იცავდა.

**- გაზრდილ მოთხოვნილებას რამდენად აკმაყოფილებს დღეს სამსახურში დასაქმებული ადვოკატების რაოდენობა. ხომ არ გაქვთ გადატვირთულობა?**

- იურიდიული დახმარების სამსახური უკვე მოქმედებს საქართველოს 13 რეგიონში და ყოველი მათგანი გარკვეული თავისებურებით ხასიათდება. მაგალითად, თბილისი ყველაზე გადატვირთულია სისხლის სამართლის საქმეებზე და კონსულტაციებზე. ასევე ძალიან დატვირთულია რუსთავი. თუმცა, დღევანდელი რესურსით ვუმკლავდებით მოთხოვნას. 2011 წელი მალე დადგება და გაიზრდება ჩვენი მოქმედების მანდატიც ადმინისტრაციულ საქმეებზე, ამიტომ ჩვენ მოგვიწევს ანალიზის გაკეთება და შეიძლება ამ მიმართულებით გარკვეული ცვლილებები განხორციელდეს.

# იურიდიული დახმარების ბიურო, როგორც ადამიანის უფლებების გარანტი

პირველი გვერდიდან

***– რას მოელით იურიდიული დახმარების ბიუროსგან?***

– საქართველო აშენებს ახალ სისტემას და ამდენად, ადამიანის უფლებების დაცულობის გარანტიების არსებობა, უბრალოდ, აუცილებელია. იურიდიული დახმარება ძალიან მნიშვნელოვანია გაჭირვებული მოსახლეობისთვის, დევნილებისთვის, რომელთა რაოდენობამ ომის შემდეგ ამ რეგიონში ძალიან იმატა. მათთან მუშაობისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ მდგომარეობამ, რაშიც მათ უხდებათ ცხოვრება, ვგულისხმობ სიდუხჭირეს, არ მოახდინოს მათი ფუნდამენტური უფლებების გადათელვა. ბუნებრივია, რაც უფრო მეტად მძიმეა საზოგადოების სოციალური მდგომარეობა, მით მეტი დაცვა სჭირდებათ მათ, ვიდრე სხვა სოციალურად დაუცველ ჯგუფებს. ასეთი კატეგორია გაცილებით მოწყვლადია და დიდი საფრთხე არსებობს, რომ შელახული იყოს მათი უფლებები. ასევე იურიდიული დახმარების სისტემის არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობებისთვის, ზოგადად ყველასთვის, ვინც გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფება. სახელმწიფოს მხრიდან უზრუნველყოფილი უნდა იყოს ფუნდამენტური უფლებების დაცვა, რომლის გარანტს წარმოადგენს ქვეყანაში იურიდიული დახმარების ბიუროს არსებობა.

***– გაეროს განვითარების პროგრამა რამდენიმე სფეროს განვითარებას უწყობს ხელს საქართველოში. მათ შორისაა იურიდიული დახმარების სამსახურიც. რატომ ფიქრობთ, რომ ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია?***

– საქართველო ყურადღების ფოკუსში იმყოფება და ყველა დიდი ინტერესით ადევნებს თვალ-ყურს როგორ მოხდება ძალაუფლების ბალანსი თანამედროვე ხელისუფლებაში. ჩვენ გვჯერა, რომ მთავარი ინგრედიანტი ხელისუფლებისთვისაც და სასამართლოსთვისაც არის ადამიანის უფლებების დაცულობის გარანტიების არსებობა. მთვარია დაცული იყოს პირობები, რაზეც თქვენი პარლამენტი და მთავრობა ერთმანეთთანაა შეთანხმებული. თქვენი ქვეყანა ახლა მუშაობს სამთავრობო სისტემის ძალაუფლების გადანაწილების, ზოგადად, სახელმწიფო მოწყობის ახალი სისტემის ჩამოყალიბებაზე. ამდენი სიახლის, ცვლილების დროს გაჭირვებული მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება ძალიან მნიშვენლოვანია. მოხარული ვარ, რომ ამ ინიციატივის მხარდაჭერის საშუალება მომეცა.

***– რას ნიშნავს თქვენთვის რეგიონის ფაქტორი?***

– ჩვენ მხარს ვუჭერთ ინიციატივებს რეგიონული განვითარების კუთხით, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვნად მიგვაჩნია. მისი ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი კომპონენტია ის, რომ რაც შეიძლება ნაკლებად იყვნენ გაჭირვებული ადამინები და ყველას, მათ შორის რეგიონებში მცხოვრებლებსაც ჰქონდეთ საკუთარი უფლებების დაცვის საშუალებები, გარანტიები.



**გაეროს განვითარების პროგრამის ევროპისა და დსთ-ს ქვეყანების რეგიონული ბიუროს ხელმძღვანელი, ქალბატონი კორი უდოვიჩკი**

რეგიონი

# იურიდიული დახმარების ბიუროს გორში ახალი ოფისი ექნება

პირველი გვერდიდან







**გორის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლები ახალ ოფისში**

„შიდა ქართლში იურიდიული დამხარების ბიუროს ოფისი კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოში სამართლებრივი სისტემის განვითარების პროცესში, სადაც შიდა ქართლის სოციალურად გაჭირვებულ მოსახლეობას ეძლევა შესაძლებლობა სწრაფი და ხარისხსიანი იურიდიული დახმარება მიიღოს კეთილმოწყობილ, თანამედროვე გარემოში. მითუმეტეს, მხედველობაში თუ მივიღებთ 2008 წლის აგვისტოში განხორციელებული რუსული აგრესიული ინტერვენციის შედეგებს," – განაცხადა მინისტრმა.

ბიუროს შენობა გორში გაეროს განვითარების პროგრამის დაფინანსების წყალობით გარემონტდა. ქალბატონმა კორი უდოვიჩკიმ ყურადღება გაამახვილა დევნილთა გაზრდილ რაოდენობაზე შიდა ქართლში ომის შემდეგ, „რომელთაც უფასო და კვალიფიციური იურიდიული დახმარება ძალიან ესაჭიროებათ, რადგან მათი უფლებები ყოველმხრივ შელახულია". მან ისაუბრა იმის შესახებაც, რომ იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა თითოეული მოქალაქისთვის სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს, რის განხორციელებაშიც აქტიურად იღებს მონაწილეობას გაეროს განვითარების პროგრამა.

ბიუროს უამრავი დევნილი და სოციალურად დაუცველი ადამიანი აკითხავს. აქ მათ სამართლებრივ დახმარებას გაუწევენ და უფასოდ მოემსახურებიან. სახელმწიფო ამ ფორმით ასრულებს ვალდებულებას, რასაც სოციალურად დაუცველი ადამიანების უფლებების დაცვის უზრუნველყოფა ჰქვია. იურიდიული დახმარების ბიუროს ოფისი გორში აქამდე კერძო სახლში იყო განთავსებული. გორის ბიუროს ხელმძღვანელის, გიგა ჯეირანაშვილის განცხადებით, ამჟამინდელი მდებარეობა ბიუროსთვის გაცილებით მომგებიანი და ხელსაყრელია, რადგან ამის წყალობით უფრო მეტმა ბენეფიციარმა შეიტყო ბიუროს არსებობისა და ფუნქციების შესახებ.

იურიდიული დახმარების ბიურო გორში 2007 წლიდან არსებობს. 2008 წლის რუსეთის აგრესიის შემდეგ ბიუროს მხარს უჭერდა გაეროს განვითარების პროგრამის პროექტი „შიდა ქართლში ადრეული რეაბილიტაციისა და მდგრადი გადასვლის ხელშეწყობა". პროექტის ძალისხმევით ბიუროს იურისტებისთვის სხვადასხვა სემინარი ჩატარდა.

ბიურომ შიდა ქართლში 2009 წლის განმავლობაში აწარმოა 450 სისხლის სამართლის საქმე. მათგან 47 არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის კუთხით. ბიუროს კონსულტანტმა 360 მოქალაქეს გაუწია სამართლებრივი კონსულტაცია, რა დროსაც შედგა 120 სამართლებრივი დოკუმენტი. 2010 წელს ბიუროს ადვოკატები ჩართულნი არიან 125 სისხლის სამართლის საქმეში. კონსულტაციების რაოდენობა კი 108-ს შეადგენს.

გაეროს განვითარების პროგრამის ხელშეწყობით, ბიუროს საქმიანობის შესახებ ინფორმირების მიზნით მოეწყო რამდენიმე ტელეგადაცემა ადგილობრივი ტელევიზიის საშუალებით, რა დროსაც მოსახლეობას ღია ეთერითაც ჰქონდა საშუალება მიეღო იურიდიული კონსულტაცია.

## თქვენი ადვოკატი

**1. რა შეიძლება გახდეს საპროცესო უფლებამონაცვლეობის შესახებ გადაწყვეტილების საფუძველი აღსრულების სტადიაზე?**

საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძველია მხარის (მოსარჩელე, მოპასუხე) გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაცემა. თუ უფლებამონაცვლეობა სადაო გახდა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების სტადიაზე, აღმასრულებლის წერილობითი უარის საფუძველზე დაინტერესებული მხარე განცხადებით მიმართავს სასამართლოს. საპროცესო უფლებამონაცვლის დადგენის შესახებ, სასამართლოს გამოაქვს განჩინება. ამ საკითხის გადაწყვეტამდე სააღსრულებლო წარმოება შეჩერდება.

**2. როგორ ხდება ფიზიკური პირის გარდაცვლილად გამოცხადება?**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, პირი შეიძლება სასამართლოს მეშვეობით გამოცხადდეს გარდაცვლილად უდაო წარმოების წესით, თუ მის საცხოვრებელ ადგილას ხუთი წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები მისი ადგილსამყოფელის შესახებ. განცხადებაში აუცილებლად უნდა მიეთითოს თუ რა მიზეზით არის აუცილებელი განმცხადებლისათვის პირის გარდაცვლილად გამოცხადება, ე.ი განმცხადებლის იურიდიული ინტერესი (პენსიის მიღება მარჩენალის დაკარგვის გამო, მემკვიდრეობის მიღება და ა.შ) და სხვა დაინტერესებულ პირთა წრე, ასევე, უნდა მიეთითოს თუ რა ვითარებაში დაიკარგა პირი, არსებობს თუ არა გარემოებები რომლებიც დაკარგულს სიკვდილს უქადის, ან რა ღონისძიებები გატარდა მის მოსაძებნად.

**3. როგორ ხდება ფიზიკური პირის ქმედუუნაროდ აღიარება?**

სასამართლო უდაო წარმოების წესით განიხილავს საქმეებს მოქალაქის ქმედუუნაროდ ან შეზრუდულ ქმედუნარიანად გამოცხადების შესახებ. ფსიქიკური მოშლილობის გამო მოქალაქის ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ განცხადების წარდგენის უფლება აქვს მეუღლეს, სრულწლოვან შვილებს, მშობლებს, სხვა ნათესავებს თუ ისინი ცხოვრობენ მოცემულ მოქალაქესთან ერთად და იმყოფებიან ურთიერთ კმაყოფაზე. ქმედუუნაროდ აღიარების განცხადებაში უნდა აღინიშნოს გარემოებები, რომლებიც ადასტურებენ პირის ფსიქიკურ(გონებრივ) მოშლილობას, რის გამოც პირს არ ძალუძს შეიგნოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა და განაგოს იგი. ასეთი შეიძლება იყოს ავადმყოფობის ისტორიის ამონაწერი, რომელიც გაცემული უნდა იქნეს კანონით დადგენილი წესით, ცნობა ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულებაში პირის ყოფნის შესახებ და მოწმეთა ჩვენებები. პირის ქმედუუნაროდ აღიარების შედეგია ის, რომ პირს უწესდება მეურვე, რომელიც მისი სახელით დებს ყველა გარიგებას და სრული მოცულობით ხდება ქმედუუნაროდ აღიარებული პირის წარმომადგენელი სამოქალაქო სამართლებრივ ბრუნვაში.

**4. როგორ ხდება საშემოსავლო გადასახადის დაკავებით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება?**

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 50-ე მუხლის „გ" და „დ" ქ/პუნქტების შესაბამისად, საგადასახადო ორგანო ვალდებულია, „გადასახადის გადამხდელს მისი უფლებებისა და მოვალეობების, ასევე საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ დროულად მიაწოდოს ინფორმაცია. ამავე კოდექსის 52-ე მუხლის „ვ" ქ/პუნქტის შესაბამისად კი ეკისრება ვალდებულება გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს დაუბრუნოს დარიცხულ თანხასთან შედარებით ზედმეტად გადახდილი საშემოსავლო თანხები.

**5. რა შემთხვევაში ხდება კრედიტორის გათავისუფლება სააღსრულებო ხარჯების წინასწარ გადახდისგან?**

საქართველოს კანონის სააღსრულებო წარმოებათა შესახებ 38-ე მუხლის XII ნაწილის „ბ" ქ/პუნქტის შესაბამისად, საფასურის წინასწარ გადახდისაგან თავისუფლდება კრედიტორი სასამართლოს გადაწყვეტილებით. კრედიტორნა სასამართლოს უნდა მიმართოს განცხადებით, გადაწყვეტილების გამოტანამდე სააღსრულებო წარმოება ჩერდება.

**6. როგორ ხდება ალიმენტის დანიშვნა ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებზე?**

თუ მოპასუხე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში (დაბადების სააქტო ჩანაწერში) ბავშვის მშობლად არის ჩაწერილი ამ კოდექსის სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს განჩინება შვილის შესანახი სახსრების გადახდევინების შესახებ.

***მოქალაქეების კითხვებზე პასუხები მოამზადეს იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთა-მთიანეთის ბიუროს იურისტებმა.***

## თქვენი მეგზური

***იურიდიული დახმარების სამსახურის მიმართვის წესები:***

*** სისხლის სამართლის საქმეზე საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნის თხოვნით იურიდიული დახმარების სამსახურს შეგიძლიათ მიმართოთ პირადად, ახლო ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით.**

***ვინ შეიძლება ისარგებლოს საზოგადოებრივი ადვოკატის მომსახურებით?***

*** კანონით დადგენილი წესით იძულებით დაცვას დაქვემდებარებულმა ყველა დაკავებულმა, ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა, მსჯავრდებულმა და დაზარალებულმა.**

*** იმ დაკავებულმა, ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა, მსჯავრდებულმა და დაზარალებულმა, რომელიც ამავე დროს „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული ოჯახის წევრია და მისი სარეიტინგო ქულა შეადგენს: 1) 70 ათასს ან ნაკლებს; 2) 100 ათასს და ნაკლებს, და მიეკუთვნება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ კატეგორიას:**

**ა) იმ მრავალშვილიანი ოჯახის წევრი, რომელსაც ჰყავს 3 ან მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი;**

**ბ) ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი;**

**გ) 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი;**

**დ) მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სრულწლოვანი პირი;**

**ე) მკვეთრად, მნიშვნელოვანად ან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი, თუ შესაძლებლობის შეზღუდვა მიმდინარეობს ბავშვობიდან;**

**ვ) 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვი;**

**ზ) რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინაალმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირი.**

*** განსაკუთრებულ შემთხვევებში, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორს უფლება აქვს თანხმობა განაცხადოს საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნაზე იმ პირისათვის, რომელიც არ აკმაყოფილებს ზემოთაღნიშნულ კრიტერიუმებს, მაგრამ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაშია და ვერ გაწევს საადვოკატო მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.**

***უფასო იურიდიული კონსულტაცია:***

**იურიდიული დახმარების ბიუროებსა და საკონსულტაციო ცენტრებში უფასო იურიდიული კონსულტაციის მიღება შეუძლია საქართველოში მცხოვრებ ნებისმიერ პირს ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე, როგორც სისხლის სამართლაზე, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავებისას. კონსულტანტები მოქალაქეებს მისვლის დღესვე მიიღებენ.**

**საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციის ფარგლებში შესაძლებელია იურიდიული დოკუმენტების მომზადება.**

**იურიდიული დახმარების სამსახურის მისამართებია:**

**თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო**
**მის: სარაჯიშვილის გამზ. №1, მე-3 სართ**
**ტელ: 8(32) 623324;**

**კახეთის იურიდიული დახმარების ბიურო**
**მის: თელავი, ერეკლე II გამზ. №8**
**ტელ: 8 (250) 71538;**

**მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიურო**
**მის: მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №51**
**ტელ: 8(32) 513873;**

**ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო**
**მის: რუსთავი, ბათუმის ქ. №17,**
**ტელ: +995(24) 15-77-22**

**შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო**
**მის.: გორი, სამეფოს ქ. №54**
**ტელ: 8 (270) 79556 8(95) 901704**

**იმერეთის-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროს**
**მის: ზესტაფონი, წერეთლის ქ. №11**
**ტელ: 8 (292) 40250;**

**იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო**
**მის: სადგურის მოედანი №3**
**ტელ: 8 (231) 5-34-11**

**სამეგრელოს-ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურო**
**მის: ზუგდიდი, კოსტავას ქ. №24**
**ტელ: 8 (215) 53472;**

**სამეგრელოს-ფოთის იურიდიული დახმარების ბიურო**
**მის: ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №37**
**ტელ: 8 (293) 43332;**

**აჭარის იურიდიული დახმარების ბიურო**
**მის.: ბათუმი, წერეთლის შესახვევი №6**
**ტელ: 8 (88 222) 31799;**

**სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიურო**
**მის: ახალციხე, თაბუკაშვილის №17**
**ტელ: 891 115571**

**ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრი**
**მის: ამბროლაური, აღმაშენებლის ქ. №24**
**ტელ: 895 308847**

**ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრი**
**მის.: ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1, მე-3 სარ.**
**ტელ: 8(296) 73824**

**იურიდიული დახმარების სამსახური**
**რუსთაველის №30, თბილისი 0146, საქართველო**
**ტელ: (+995 32) 988493; 932090**
**ფაქსი: (+995 32) 988493**
**info@legalaid.ge; www.legalaid.ge**

რეგიონი

# გიგა ჯეირანაშვილი: ყოველდღიურად უამრავი ადამიანი გვაკითხავს

შიდა ქართლში იურიდიული დახმარების ბიუროს გიგა ჯეირანაშვილი ხელმძღვანელობს. რამდენიმე დღის წინ საზოგადოებრივი ადვოკატები ახალ, გარემონტებულ ოფისში გადავიდნენ, უკეთეს ადგილას და გაიზარდა იმ ადამიანების რიცხვიც, ვინც მათ სხვადასხვა პრობლემით მიმართავს.

გიგა ჯეირანაშვილი აცხადებს, რომ მათი ბიურო არა მხოლოდ იურიდიულ დახმარებას უწევს მოქალაქეებს, არამედ აწყობს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსახლეობისათვის.

**„ბუნებრივია, 2008 წლის ომის შემდეგ, რამაც ქვეყანაში კიდევ ათასობით ადამიანი აქცია დევნილად, ადვოკატებისთვის საქმემ კიდევ უფრო იმატა. ჩვენ ყოველკვირეულად ვაწყობთ შეხვედრებს მათთან, გავდივართ დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ადგილებში, ვესაუბრებით მათ, ვიკვლევთ პრობლემებს, ვთავაზობთ დახმარებას. ჩვენს ბენეფიციართა შორის დევნილები, რა თქმა უნდა ბევრნი არიან, რადგან ეს ის კატეგორიაა, რაც დღეს განსაკუთრებულ დაცვასა და მზრუნველობას საჭიროებს. შემიძლია გითხრათ, რომ ამ დროისთვის ჩვენ უკვე მოვლილი გვაქვს შავშვების, ხურვალეთის, სკრის, ხელთუბნისა და კარალეთის დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ადგილები გორის რაიონში, მეტეხის, თელიანისა და ახალქალაქის - კასპის რაიონში და მოხისისა და ახალსოფლის ჩასახლებები ქარელის რაიონში“,** - ამბობს გიგა ჯეირანაშვილი.

შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს სამართალმცოდნეობის სტუდენტთა პროფესიულ განვითარებას. სწორედ ამიტომ საზოგადოებრივი ადვოკატების ინიციატივით გაფორმდა მემორანდუმი გორის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და იურიდიული დახმარების ბიუროს შორის. მის საფუძველზე, სტუდენტებს, მაგისტრანტებს საშუალება ექნებათ სტაჟირება გაიარონ იურიდიული დახმარების ბიუროში და მონაწილეობა მიიღონ საქმისწარმოებაში, რაც მათი პრაქტიკისთვის ძალიან სასარგებლო იქნება. ასევე, იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლები პერიოდულად ხვდებიან სტუდენტებს, უტარებენ მათ ლექციებსა და სემინარებს იმ საკითხების შესახებ, რაც მათთვის აქტუალურია.

როცა სამართლებრივ სფეროში ტენდენციებისა და პრაქტიკის შესახებ ეკითხები, გიგა ჯეირანაშვილი რამდენიმე მომენტს გამოყოფს: იგი ამბობს, რომ მართალია, ზოგადად დანაშაულის რიცხვმა იკლო, მაგრამ, ძალიან გაიზარდა არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი კანონდარღვევების რაოდენობა.



მისი აზრით, ეს საკმაოდ ნეგატიური მოვლენაა, რომლის გამომწვევ მიზეზად არაერთი ფაქტორი შეიძლება დასახელდეს. მათ შორისაა მოსახლეობის სამართლებრივი ცნობიერების დაბალი დონე. გიგა ჯეირანაშვილის აზრით, ნაკლები ყურადღება ექცევა აღზრდასაც ამ მიმართულებით, რაც მისი აზრით, გადამწყვეტია. როდესაც მოზარდს აუხსნი, რა შემთხვევაში გადავა მისი ქმედება დანაშაულში და მიახვედრებ როგორ შეიძლება უსიამოვნების თავიდან არიდება, შესაძლოა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი ამდენი დანაშაულიც აღარ იყოს სახეზე. გიგა ჯეირანაშვილის აზრით, ასევე მნიშვნელოვანია პრევენციული ღონისძიებების გატარება და უფლებადამცველების სისტემატური ურთიერთობა მოსწავლეებთან, საუბარი სამართლებრივ თემებზე.

გიგა ჯეირანაშვილი ამბობს, რომ ახალ ოფისში გადასვლის შემდეგ ბენეფიციართა რიცხვმა მკვეთრად იმატა: **„ყოველდღიურად უამრავი ადამიანი გვაკითხავს. ბენეფიციართა ასეთ მკვეთრ ზრდას, მე გარკვეულწილად, იმ ფაქტორსაც ვუკავშირებ, რომ ახლა ჩვენი ბიურო მდებარეობს ისეთ ადგილზე, რომლის ირგვლივ რამდენიმე მნიშვნელოვანი სამსახურია, მათ შორის სამოქალაქო რეესტრისა და საგადასახადო სამსახურის ადგილობრივი ოფისები. ზოგჯერ ადამიანები პირდაპირ ამ უწყებებიდან ამოდიან ჩვენთან. იურიდიული დახმარების ბიურო არა მხოლოდ ადვოკატს გამოყოფს მოქალაქეებისთვის, არამედ, მათი თანამშრომლები ყოველდღიურად გასცემენ კონსულტაციებს ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე.**

**რა თქმა უნდა, ყველას ვერ ვეხმარებით, რადგან კანონის მიხედვით, ადვოკატის დანიშვნის საშუალება მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებზე გვაქვს, თუმცა ჩვენთვის არაა შეზღუდული საკითხები, რომელთა შესახებაც ჩვენი თანამშრომლები კონსულტაციებს გასცემენ. ეს ნებისმიერი ტიპის საქმეზე შეგვიძლია, იქნება ეს სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის საქმე. ჩვენი თანამშრომლები ადგენენ სარჩელს იმ სპეციალური ფორმით, რასაც ამჟამინდელი სასამართლო ითხოვს“,** - აცხადებს იგი.

წარმატებული საქმე

# ადვოკატ ქეთევან გაგოევის ძალისხმევით მსჯავრდებული სრულიად გამართლდა

**შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი ქეთევან გაგოევი მსჯავრდებულ კახა ქ.-ს ინტერესებს იცავდა. კახა ქ.-ს, იოსებ გ.-სთან ერთად, ქურდობაში ედებოდა ბრალი.**

ქეთევან გაგოევმა, სასამართლო გამოძიების შემდეგ, გორის რაიონულ სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების კანონიერების, მათი საქმის მასალიდან ამოღებისა და დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ. კერძოდ, კახა ქ. იყო გონებრივად ჩამორჩენილი და მისი დაკითხვა ადვოკატის ან გარეშე პირის მონაწილეობით უნდა მომხდარიყო. გარდა ამისა, საზოგადოებრივი ადვოკატი ყურადღებას ამახვილებდა იმ ფაქტზე, რომ ამ საქმეში მეორე ბრალდებული - იოსებ გ. კახა ქ.-ის ქურდობაში თანამონაწილეობას უარყოფდა. კახა ქ.-ის ბრალეულობა არც მოწმეების ჩვენებებით დასტურდებოდა.

გორის რაიონული სასამართლო დაეყრდნო დაზარალებულის წინააღმდეგობრივ ჩვენებებს და კახა ქ.-ს 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. აღნიშნული გადაწყვეტილება ქეთევან გაგოევმა გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც I ინსტანციის სასამართლოს განაჩენი უცვლელად დატოვა.

ამის შემდეგ, საზოგადოებრივმა ადვოკატმა I და II ინსტანციების სასამართლოს გადაწყვეტილებები საკასაციო წესით გაასაჩივრა და თავისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ სამართლებრივი დევნის შეწყვეტა მოითხოვა. უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ ქეთევან გაგოევის საჩივარი სრულად დააკმაყოფილა, შეწყვიტა კახა ქ.-ს მიმართ სამართლებრივი დევნა და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა იგი.

## ახალი ამბები

• 12 მაისს, იურიდიული დახმარების სამსახურის შიდა ქართლის ბიუროს იურისტებმა რეგიონის მოსახლეობას სამართლებრივი კონსულტაციები სატელევიზიო ეთერში გაუწიეს. საზოგადოებრივ ადვოკატებს ტელეკომპანია „თრიალეთმა“ უმასპინძლა.

• 17 მაისს იურიდიული დახმარების სამსახურის სამცხე-ჯავახეთის ბიუროს იურისტებმა კონსულტაცია ბორჯომის მოსახლეობას გაუწიეს. შეხვედრა ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შედგა და მასში მონაწილეობა სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლებმა - დავით ზარიძემ, დავით კურტანიძემ და თინათინ აკოფიანმა მიიღეს.

• 18 მაისს იურიდიული დახმარების სამსახურის შიდა ქართლის ბიუროს იურისტები გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდნენ. ღონისძიების მიზანი იყო სტუდენტების ინფორმირება საზოგადოებრივი ადვოკატების საქმიანობისა და იურიდიული დახმარების სამსახურში პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესაძლებლობების შესახებ.

• 23 მაისს ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი - პერ ეკლუნდი იურიდიული დახმარების სამსახურის აჭარის ბიუროს სტუმრობდა. დიპლომატი საზოგადოებრივი ადვოკატებისა და კონსულტანტების საქმიანობას ადგილზე გაეცნო და უფასო იურიდიული დახმარების სისტემაში მიმდინარე რეფორმებით დაინტერესდა.

• იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა ირაკლი კობიძემ სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს 25 მაისს 2009-2010 წლებში უფასო იურიდიული დახმარების სფეროში განხორციელებული რეფორმების შედეგები გააცნო.

საქმიანობის შედეგებზე საუბრისას ირაკლი კობიძემ ყურადღება გაამახვილა ისეთ პრიორიტეტულ საკითხებზე, როგორებიცაა უფასო იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა, მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა და იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. სტუმრებს მიეწოდათ ინფორმაცია განახლებული და ახლადგახსნილი იურიდიული დახმარების ბიუროების, საზოგადოებრივი ადვოკატებისათვის ჩატარებული ტრენინგებისა და სხვა აქტივობების შესახებ.

Published with financial support of the United Nations Development Programme (UNDP)
The views expressed in this publication are those of the authors and do not necessarily represent those of the United Nations or UNDP.
გამოცემულია გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით.
წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და არ ასახავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან გაეროს განვითარების პროგრამის თვალსაზრისს.

იურიდიული დახმარების სამსახური

გამოცემა მომზადებულია მედიის განვითარების ფონდის მიერ